6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

6.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისგან.

6.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების , დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა. მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე

ბ. თუ დამკვეთისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

გ. თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას

დ. საქ. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

მუხლი 8. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით , შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქ. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 9. შეტყობინება

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის / ელ. ფოსტის მეშვეობით , ორიგინალის შემდგომი წარდგენით.

9.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს

მუხლი 10 ხელშეკრულების ენა